# ქ. ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტი შესრულების ანგარიში


















ქ. ბათუმის მერია

www.batumi.ge

წლიური ანგარიში

2010

# თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქ. ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 30/12/2009 №20-1 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 29/01/2010 №1; 26/02/2010 №8; 22/03/2010 №11; 15/06/2010 №16; 09/07/2010 №10; 02/09/2010 №17; 29/10/2010 №28; 30/11/2010 №35; 14/12/2010 №42 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 170 420,6 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულება 169 638,1 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 182 319,6 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 165 203,3 ათასი ლარი. ბიუჯეტით დაგეგმილ პროექტებზე გათვალისწინებული თანხები რომელთა დასრულება მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო 2010 წელს ვერ განხორციელდა დატოვებული იქნა ქ. ბათუმის საბიუჯეტო ანგარიშზე და გათვალისწინებული იქნა ქ. ბათუმის 2011 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს.

ბოლო წლების განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა, ზრდა 2009 წელთან მიმართებაში 27.4 პროცენტია, ხოლო 2004 წლის მაჩვენებელს (12 844.2 ათასი ლარი) 13-ჯერ აღემატება. 2010 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის მთავრ პრიორიტეტს ქალაქში ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, სამეწარმეო სექტორის გააქტიურება, ინვესტიციების ხელშეწყობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბიუჯეტო პროგრამების განხორციელებით პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა და შესაბამისად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

- ქალაქის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამები - 7,413.6 ათასი ლარი;

- ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები - 45,976.1 ათასი ლარი;

- ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა - 55,574.9 ათასი ლარი;

- საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 7,261.2 ათასი ლარი;

- განათლების, კულტურის, სპორტისა და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამები - 7,168.5 ათასი ლარი;

- კულტურის, სპორტისა, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების ხელშეწყობის პროგრამები - 6,537,0 ათასი ლარი;

- თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები – 2,282.0 ათასი ლარი.

## ქ. ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

*ქ. ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი*

| დასახელება | 2010 წლის გეგმა | 2010 წლის შესრულება | შესრულება-ის % |
|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **161,400.6** | **160,594.2** | **99.5%** |
| გადასახადები | 10,100.0 | 10,547.3 | 104.4% |
| გრანტები | 140,640.6 | 137,290.6 | 97.6% |
| სხვა შემოსავლები | 10,660.0 | 12,756.3 | 119.7% |
| **ხარჯები** | **127,546.0** | **117,229.3** | **91.9%** |
| შრომის ანაზღაურება | 4,522.6 | 4,522.6 | 100.0% |
| საქონელი და მომსახურება | 20,534.0 | 19,288.8 | 93.9% |
| პროცენტი | 1,496.9 | 1,238.1 | 82.7% |
| სუბსიდიები | 9,998.2 | 9,724.4 | 97.3% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2,596.9 | 2,279.9 | 87.8% |
| სხვა ხარჯები | 88,397.4 | 80,175.6 | 90.7% |
| **საოპერაციო სალდო** | **33,854.5** | **43,364.9** | **128.1%** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **44,324.2** | **37,554.7** | **84.7%** |
| ზრდა | 53,344.2 | 46,598.6 | 87.4% |
| კლება | 9,020.0 | 9,043.9 | 100.3% |
| **მთლიანი სალდო** | **-10,469.7** | **5,810.2** | **-55.5%** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **-11,899.0** | **4,434.7** | **-37.3%** |
| ზრდა | | 4,434.7 | - |
| ვალუტა და დეპოზიტები | | 4,434.7 | - |
| კლება | 11,899.0 | | - |
| ვალუტა და დეპოზიტები | 11,899.0 | | - |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **-1,429.3** | **-1,375.5** | **96.2%** |
| კლება | 1,429.3 | 1,375.5 | 96.2% |
| საშინაო | 1,429.3 | 1,375.5 | 96.2% |
| **ბალანსი** | **0.0** | **0.0** | |

## *ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება*

| დასახელება | 2010 წლის გეგმა | 2010 წლის შესრულება | შესრულების % |
|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **170,420.6** | **169,638.1** | **99.5%** |
| შემოსავლები | 161,400.6 | 160,594.2 | 99.5% |
| არაფინანსური აქტივების კლება | 9,020.0 | 9,043.9 | 100.3% |
| **გადასახდელები** | **182,319.6** | **165,203.3** | **90.6%** |
| ხარჯები | 127,546.0 | 117,229.3 | 91.9% |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 53,344.2 | 46,598.6 | 87.4% |
| ვალდებულებების კლება | 1,429.3 | 1,375.5 | 96.2% |
| **ნაშთის ცვლილება** | **-11,899.0** | **4,434.7** | |

## თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის შემოსულობები

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 169 638,1 ათასი ლარი. რაც შემოსულობების 2010 წლის გეგმიური მაჩვენებლის 99,5 %-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 10 547,3 ათასი ლარი (შემოსულობების 6,2%), გრანტებისა და ფინანსური დახმარების სახით მიღებულ შემოსავლებზე – 137 290,6 ათასი ლარი (შემოსულობების 80,9%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე – 12 756,3 ათასი ლარი (შემოსულობების 7,6%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 9 043,9 ათასი ლარი (შემოსულობების 5,3%).

### თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

| № | შემოსულობის დასახელება | თანხა (ათასი ლარი) | წილი მთლიან შემოსულობებში |
|---|---|---|---|
| **1** | **შემოსავლები** | **160,594.2** | ***94.7%*** |
| 1.1 | გადასახადები | 10,547.3 | *6.2%* |
| 1.2 | გრანტები და ფინანსური დახმარება | 137,290.6 | *80.9%* |
| 1.3 | სხვა შემოსავლები | 12,756.3 | *7.6%* |
| **2** | **არაფინანსური აქტივების კლება** | **9,043.9** | ***5.3%*** |
| | ჯამი | **169,638.1** | ***100%*** |

## თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები




შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

| № | შემოსულობების დასახელება | 2010 წლის გეგმა | 2010 წლის შესრულება | გადახრა | შესრულება % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **შემოსავლები** | **161,400.6** | **160,594.2** | ***-806.4*** | ***99.5%*** |
| 1.1 | გადასახადები | 10,100.0 | 10,547.3 | *447.3* | ***104.4%*** |
| 1.2 | გრანტები და ფინანსური დახმარება | 140,640.6 | 137,290.6 | *-3,350.0* | ***97.6%*** |
| 1.3 | სხვა შემოსავლები | 10,660.0 | 12,756.3 | *2,096.3* | ***119.7%*** |
| 2 | **არაფინანსური აქტივების კლება** | **9,020.0** | **9,043.9** | ***23.9*** | ***100.3%*** |
| | ჯამი | **170,420.6** | **169,638.1** | **-782.5** | ***99.5%*** |

## ქ. ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება გეგმასთან მიმართებაში




თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმილ მაჩვენებელზე ფაქტიურად ნაკლები მობილიზება განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ადგილობრივ ბიუჯეტზე გათვალისწინებული ტრანსფერის სრულად მიუღებლობით. მიუხედავად ამისა, საანგარიშო წლის განმავლობაში ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზებული შემოსულობები წარმოადგენს ყველაზე მაღალ მაჩვენებელს ბოლო წლების განმავლობაში. სწორედ აღნიშნულმა შედეგმა განაპირობა ქალაქის მასშტაბით მრავალი მნიშვნელოვანი პროექტის წამოწყება და განხორციელება.

## ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა

| № | დასახელება | 2006 წლის ფაქტი | 2007 წლის ფაქტი | 2008 წლის ფაქტი | 2009 წლის ფაქტი | 2010 წლის ფაქტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | შემოსავლები | **31,241.7** | **63,677.3** | **58,461.7** | **122,075.8** | **160,594.2** |
| 1.1 | გადასახადები | 17,863.5 | 6,562.6 | 8,382.0 | 7,973.8 | 10,547.3 |
| 1.2 | გრანტები და ფინანსური დახმარება | 12,542.1 | 49,158.5 | 43,210.8 | 106,279.9 | 137,290.6 |
| 1.3 | სხვა შემოსავლები | 836.1 | 7,956.2 | 6,868.9 | 7,822.1 | 12,756.3 |
| 2 | არაფინანსური აქტივების კლება | **65.6** | **4,227.1** | **5,620.6** | **2,135.0** | **9,043.9** |
| | სულ ჯამი | **31,307.3** | **67,904.4** | **64,082.3** | **124,210.8** | **169,638.1** |

## ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა



## თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა




| 2006 წლის ფაქტი | 2007 წლის ფაქტი | 2008 წლის ფაქტი | 2009 წლის ფაქტი | 2010 წლის ფაქტი |
|---|---|---|---|---|
| 31,307.3 ათასი ლარი | 67,904.4 ათასი ლარი | 64,082.3 ათასი ლარი | 124,210.8 ათასი ლარი | 169,638,1 ათასი ლარი |

## ქ. ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის შემოსულობები წინა წლებთან მიმართებაში



*შემოსავლები*

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 161 400,6 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 160 594,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 99,5 %.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

**გადასახადები**

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 10 547,3 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის – 10 100,0 ათასი ლარის 104,4%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 6,2%-ს.

**თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა**

| № | შემოსავლის სახე | 2006 წლის ფაქტი | 2007 წლის ფაქტი | 2008 წლის ფაქტი | 2009 წლის ფაქტი | 2010 წლის გეგმა | 2010 წლის ფაქტი | შესრულება | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 2010 წ. გეგმასთან | | 2009 წ. ფაქტთან | |
| | | | | | | | | გადახრა | % | გადახრა | % |
| 1 | საშემოსავლო გადასახადი | 6,222.4 | 58.4 | | | | | - | - | - | - |
| 2 | მოგების გადასახადი | 5,791.9 | 24.1 | | | | | - | - | - | - |
| 3 | ქონების გადასახადი | 5,355.0 | 6,492.7 | 7,660.5 | 7,579.1 | 10,100.0 | 10,507.6 | *407.6* | *104.0%* | *2,928.5* | *138.6%* |
| 3.1 | ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი | 158.6 | 157.8 | 228.6 | 122.7 | 200.0 | 262.4 | *62.4* | *131.2%* | *139.7* | *213.9%* |
| 3.2 | საწარმოთა ქონების გადასახადი | 3,860.1 | 5,366.6 | 5,730.2 | 6,200.4 | 8,600.0 | 8,639.1 | *39.1* | *100.5%* | *2,438.7* | *139.3%* |
| 3.3 | მიწის გადასახადი | 1,336.3 | 968.3 | 1,701.7 | 1,256.0 | 1,300.0 | 1,606.1 | *306.1* | *123.5%* | *350.1* | *127.9%* |
| 5 | სხვა გადასახადები | 494.3 | -12.6 | 721.4 | 394.7 | | 39.7 | *39.7* | - | *-355.0* | - |
| | **სულ** | **17,863.6** | **6,562.6** | **8,381.9** | **7,973.8** | **10,100.0** | **10,547.3** | ***447.3*** | ***104.4%*** | ***2,573.5*** | ***132.3%*** |

2010 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ძირითადად ქონების გადასახადის სახით იყო წარმოდგენილი.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

**ქონების გადასახადი** – საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2010 წლის გეგმიური მაჩვენებელი 10 100,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 10 507,6 ათასი ლარი შეადგინა რაც გეგმის 104,0 %-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

| № | **დასახელება** | 2010 წლის გეგმა | 2010 წლის ფაქტი | გადახრა | შესრულება % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:** | **10,100.0** | **10,507.6** | ***407.6*** | ***104.0%*** |
| 1.1 | საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) | 8,600.0 | 8,639.1 | *39.1* | *100.5%* |
| 1.2 | ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) | 200.0 | 262.4 | *62.4* | *131.2%* |
| 1.3 | მიწაზე ქონების გადასახადი | 1,300.0 | 1,606.1 | *306.1* | *123.5%* |

საწარმოთა ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 8 600,0 ათასი ლარით. ფაქტიურად მობილიზებული იქნა 8 639,1 ათასი ლარი. რაც გეგმის 100,5%-ია.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის სახით დაგეგმილი იყო 200,0 ათასი ლარის მობილიზება, ფაქტიურად მიღებული იქნა 262,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 131,2%-ია.

მიწაზე ქონების გადასახადი მობილიზებული იქნა 1 606,1 ათას ლარის ოდენობით, რაც გეგმის (1 300,0 ათასი ლარი) 123,5%-ია.

| № | დასახელება | 2006 წლის ფაქტი | 2007 წლის ფაქტი | 2008 წლის ფაქტი | 2009 წლის ფაქტი | 2010 წლის ფაქტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:** | **5,355.0** | **6,492.7** | **7,660.5** | **7,579.1** | **10,507.6** |
| 1.1 | საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) | 3,860.1 | 5,366.6 | 5,730.2 | 6,200.4 | 8,639.1 |
| 1.2 | ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) | 158.6 | 157.8 | 228.6 | 122.7 | 262.4 |
| 1.3 | მიწაზე ქონების გადასახადი | 1,336.3 | 968.3 | 1,701.7 | 1,256.0 | 1,606.1 |

ქონების გადასახადის 2010 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2009 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2 928,5 ათასი ლარით გაზრდილია.

საწარმოთა ქონების გადასახადის 2010 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2 438.7 ათასი ლარით აღემატება. ქონების გადასახადი საინვესტიციო მასშტაბების ინდიკატორია. ამ მხრივ ქალაქ ბათუმის მასშტაბით მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრებია, სამეწარმეო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების ზრდა საბოლოო ჯამში ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებზეც აისახება.



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქონების გადასახადი ბიუჯეტში არათანაბარი სიდიდით აისახებოდა, რომლის ფაქტიური მობილიზაციაც ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგია:






ქონების გადასახადის შესრულების დინამიკა ცალკეული თვეების მიხედვით 2007-2010 წლები




ქონების გადასახადის შესრულების დინამიკა ცალკეული თვეების მიხედვით 2007-2010 წლები (ნაზარდი ჯამით)



**სხვა გადასახადები** – აღნიშნულ სახეში მობილიზებული იქნა 39,7 ათასი ლარი, რომელიც წინა წლების გაუქმებული ადგილობრივი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებია.

<u>ფინანსური დახმარება და გრანტები</u>

2010 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 137 290,6 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 140 640,6 ათას ლარს, სხვაობა შეადგენს 3 350,0 ათას ლარს. მიღებული ფინანსური დახმარებიდან 100 000,0 ათასი ლარი საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში თვითმმართველ ქალაქ ბათუმზე გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად სპეციალური ტრანსფერია, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული ფინანსური სახსრები შეადგენს 14 549,3 ათას ლარს, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული სახსრები – 100.0 ათას ლარს, ხოლო 5 063,5 ათასი ლარი პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება – 3 400,0 ათას ლარს შეადგენს, გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს 14 177,7 ათას ლარს.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 80,9 %-ია.

| № | დასახელება | 2010 წლის გეგმა | 2010 წლის შესრულება | გადახრა |
|---|---|---|---|---|
| 1 | სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება | **133,895.6** | **133,890.6** | **5.0** |
| 1.1 | გათანაბრებითი ტრანსფერი | **14,177.7** | **14,177.7** | **0.0** |
| 1.2 | სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის: | **119,717.9** | **119,712.9** | **5.0** |
| | ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | 100,000.0 | 100,000.0 | 0.0 |
| | საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან | 100.0 | 100.0 | 0.0 |
| | საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან | 5,068.5 | 5,063.5 | 5.0 |
| | საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან | 14,549.3 | 14,549.3 | 0.0 |
| 2 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება | **6,745.0** | **3,400.0** | **3,345.0** |
| ჯამი | | **140,640.6** | **137,290.6** | **3,350.0** |

## *საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიღებული სახსრები*

2010 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 5063.5 ათასი ლარი, თანხები გამოიყო შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 6 იანვრის №7 განკარგულებით – 244.8 ათასი ლარი ქ. ბათუმში ზღვისპირა პარკის ცენტრალურ შესასვლელში საგამოფენო დარბაზის მშენებლობისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით;

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 25 მაისის №425 განკარგულებით – 38.4 ათასი ლარი ქ. ბათუმში მუსიკალური ჯგუფის „მგზავრების" მონაწილეობით 2010 წლის 27 მაისს დაგეგმილი კონცერტის პირდაპირი ეთერით ტრანსლირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით;

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 10 ივნისის №489 განკარგულებით – 57.7 ათასი ლარი ქ. ბათუმში ქანდაკებების განსათავსებლად საჭირო ხარჯების ანაზღაურების მიზნით;

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 27 ივლისის №718 განკარგულებით – 197.4 ათასი ლარი ქ. ბათუმში მაია ქეის და სხვა შემსრულებელთა მონაწილეობით 2010 წლის 31 ივლისს დაგეგმილი კონცერტის ორგანიზებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით;

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 29 ივლისის №741 განკარგულებით – 51.4 ათასი ლარი ქ. ბათუმში მაია ქეის და სხვა შემსრულებელთა მონაწილეობით 2010 წლის 31 ივლისს დაგეგმილი კონცერტის ორგანიზებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით;

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 აგვისტოს №799 განკარგულებით – 42.1 ათასი ლარი ქ. ბათუმში ბრიტანელი კომპოზიტორისა და შემსრულებლის კრის დე ბურგის მონაწილეობით 2010 წლის 15 აგვისტოს გასამართი კონცერტის პირდაპირი ეთერით ტრანსლირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით;

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 23 სექტემბრის №928 განკარგულებით – 160 000 ათასი ლარი ქ. ბათუმში 2010 წლის ოქტომბერში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით;

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 29 ოქტომბრის №1027 განკარგულებით – 72,1 ათასი ლარი ქ. ბათუმში ქანდაკება ქალი და მამაკაცის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით 2010 წლის 2 ნოემბერს გასამართი კონცერტის ორგანიზებისა და პირდაპირი ეთერით ტრანსლირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით;

ქ. ბათუმში საშობაო-საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით დაგეგმილი გასართობ-სანახაობითი და კულტურული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით გამოიყო 2 701,6 ათასი ლარი, კერძოდ:

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 13 ნოემბრის №1042 განკარგულებით – 296,4 ათასი ლარი;

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 14 დეკემბერის №1150 განკარგულებით – 2 207,8 ათასი ლარი;

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 28 დეკემბერის №1187 განკარგულებით – 46,5 ათასი ლარი;

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 30 დეკემბერის №1196 განკარგულებით – 39,5 ათასი ლარი;

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 31 დეკემბერის №1200 განკარგულებით – 111,4 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 16 ნოემბრის №1068 განკარგულებით – 1 292,5 ათასი ლარი 2010 წლის 25 ნოემბერს ქ. ბათუმში მსოფლიოში ცნობილი ტენორის პლასიდო დომინგოსა და ოპერის ქართველი ვარსკვლავების მონაწილეობით გასამართი კონცერტის ორგანიზებისა და ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით;

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 18 ნოემბრის №1071 განკარგულებით – 155,5 ათასი ლარი ქ. ბათუმში მსოფლიოში ცნობილი ტენორის პლასიდო დომინგოსა და ოპერის ქართველი ვარსკვლავების მონაწილეობით 2010 წლის 25 ნოემბერს გასამართი კონცერტის ორგანიზებისა და ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით;

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 29 ნოემბრის №1102 განკარგულებით – 50,0 ათასი ლარი კონკურში - "სიმღერა ბათუმზე" გამარჯვებული სიმღერის კლიპის დამზადებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით;

## *საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული სახსრები*

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2010 წლის 26 ივლისის №254 ბრძანებით – 100 000 ათასი ლარი გამოიყო ქ. ბათუმში მაია ქეის და სხვა შემსრულებელთა მონაწილეობით 2010 წლის 31 ივლისს დაგეგმილი კონცერტის ორგანიზებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით;

## *საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული სახსრები*

ქ. ბათუმის ბიუჯეტზე ფინანსური დახმარების სახით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი იქნა 14 549.3 ათასი ლარი. მათ შორის:

ქ. ბათუმში ი. გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარე შენობებისა და მ. აბაშიძის ქუჩაზე მდებარე საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი ფილიალის შენობის რეკონსტრუქციის მიზნით გამოიყო 5 000.0 ათასი ლარი, კერძოდ:

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 მაისის №641 განკარგულებით – 2 000.0 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №838 განკარგულებით – 3 000.0 ათასი ლარი;

ქ. ბათუმში ახალი ქუჩებისა და მოედნების მშენებლობის, დასვენებისა და კულტურის ობიექტების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის დაფინანსების მიზნით საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 ივნისის №841 განკარგულებით გამოყოფილი იქნა – 6 000.0 ათასი ლარი,

„ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია I ფაზა და II ფაზა" პროექტის ფარგლებში შესყიდულ საქონელსა და

მომსახურებაზე დამატებული ღირებულების გადასახადის 50 პროცენტის გადახდის მიზნით გამოიყო 2 401.6 ათასი ლარი კერძოდ:

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 ივნისის №832 განკარგულებით – 889.2 ათასი ლარი გამოიყო;

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 03 აგვისტოს №1021 განკარგულებით – 1 166.4 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 დეკემბრის №1583 განკარგულებით – 355,0 ათასი ლარი გამოიყო;

ქ. ბათუმში სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების მიზნით საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 ივლისის №989 განკარგულებით გამოიყო 246.8 ათასი ლარი;

ქ. ბათუმში ყინულის მოედნის სამშენებლო სამუშაოების დაფინანსების მიზნით საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 სექტემბრის №1217 განკარგულებით გამოიყო 220.0 ათასი ლარი.

ადლიის საბაჟო ტერმინალთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობის და სატვირთო ავტომობილების ავტოსადგომის მშენებლობისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 დეკემბრის №1583 განკარგულებით გამოიყო 671,9 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2010 წლის საპროგნოზო მოცულობა 10 660,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12 756,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 119,7%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 7,6%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

**საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 1 790,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 680,0 ათასი ლარი) 106,6%-ია. მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 1 392,1 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- **რენტის** სახით მიღებულია 398,2 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 164,6 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 233,6 ათასი ლარი.

**საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 7 309,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6 080,0 ათასი ლარი) 120,2%-ია. აქედან,

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით – 7 267,7 ათასი. მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)** – 372,8 ათასი ლარი. კერძოდ, 2010 წლის განმავლობაში გაიცა 361-ზე მეტი მშენებლობის ნებართვა;

- **მოსაკრებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისა და სატვირთო გადაზიდვის ნებართვაზე** – 117.1 ათასი ლარი;

- **სახელმწიფო ბაჟი** – 2.0 ათასი ლარი;

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი** – 0.5 ათასი ლარი;

- **სატენდერო მოსაკრებელი** – 55,6 ათასი ლარი;

- **სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** – 2,2 ათასი ლარი;

- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** – 5 914,4 ათასი ლარი, მათ შორის:

*კაზინოების (სამორინეების) სათამაშო მაგიდიდან* – 1 370,0 ათასი ლარი;

*სათამაშო აპარატებიდან* – 4 259,4 ათასი ლარი;

*ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროებიდან* – 281,5 ათასი ლარი;

*წამახალისებელი თამაშებებიდან* – 3,5 ათასი ლარი.

**სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან ქ. ბათუმის ბიუჯეტში 2010 წელს მიღებული თანხები**




- **მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** – 920,2 ათასი ლარი;

- **სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი** – 0.1 ათასი ლარი;

- **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** – 41,8 ათასი ლარი, მათ შორის:

- *შემოსავლები მომსახურების გაწევიდან* – 41,8 ათასი ლარი, აქედან ქონებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალი 40,5 ათასი ლარია, სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი 1,5 ათასი ლარი.

**სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით** მობილიზებულია 2 297,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 600.0 ათასი ლარის) 143.6%-ია. მათ შორის:

*შემოსავალი სანქციებიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო* - 627.5 ათასი ლარი;

*შემოსავალი სანქციებიდან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის* – 571.0 ათასი ლარი;

*შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან* - 1 098.9 ათასი ლარი.




**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 1 359,1 ათასი ლარი. შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა 1 300,0 ათას ლარს შეადგენს. სხვა შემოსავლების აღნიშნული სახეში ძირითადად გაერთიანებულია 2009 წელს გაცემული, გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები (1 283.3 ათასი ლარი) აგრეთვე სხვა შემოსავლები რომლებიც ექვემდებარება კლასიფიცირებას (75,8 ათასი ლარი).

## თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

| დასახელება | 2010 წლის გეგმა | 2010 წლის შესრულება | გადახრა |
|---|---|---|---|
| სხვა შემოსავლები | **10,660.0** | **12,756.3** | **2,096.3** |
| შემოსავლები საკუთრებიდან | **1,680.0** | **1,790.3** | **110.3** |
| პროცენტები | **1,390.0** | **1,392.1** | **2.1** |
| რენტა | **290.0** | **398.2** | **108.2** |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 80.0 | 164.6 | **84.6** |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 210.0 | 233.6 | **23.6** |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | **6,080.0** | **7,309.5** | **1,229.5** |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | **6,050.0** | **7,267.7** | **1,217.7** |
| სანებართვო მოსაკრებელი | 250.0 | 372.8 | **122.8** |
| სახელმწიფო ბაჟი | | 2.0 | **2.0** |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | | 0.5 | **0.5** |
| სატენდერო მოსაკრებელი | 40.0 | 55.6 | **15.6** |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | | 2.2 | **2.2** |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 4,380.0 | 5,914.4 | **1,534.4** |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 1,380.0 | 920.2 | **-459.8** |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | | 0.04 | **0.0** |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | **30.0** | **41.8** | **11.8** |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 30.0 | 41.8 | **11.8** |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | **1,600.0** | **2,297.4** | **697.4** |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | **1,300.0** | **1,359.1** | **59.1** |

## თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები




<u>არაფინანსური აქტივების კლება</u>

2010 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 9 043,9 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (9 020,0 ათასი ლარის) 100,3 %-ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 5,3%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, საიდანაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული იქნა 4 499,3 ათასი ლარი, ასევე შენობა ნაგებობების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს – 4 460,3 ათასი ლარი, ხოლო 84,3 ათასი ლარი მიწაზე უფლების აღიარებიდან მიღებული შემოსავალია.

ადგილობრივ ბიუჯეტში თანხები მობილიზებული იქნა შემდეგი ობიექტების პრივატიზებიდან:

- ქ. ბათუმში ლერმონტოვის ქ. №107-ში მდებარე 96.5 $მ^2$ ფართი;
- ქ. ბათუმში პუშკინის ქ. №20-ში მდებარე 1028 $მ^2$ ფართი;
- ქ. ბათუმში კობალაძისა და ინასარიძის ქუჩების კვეთაში მდებარე 685 $მ^2$ ფართი;
- ქ. ბათუმში აღმაშენებლის ქ. №4-ის მიმდებარედ არსებული 82 $მ^2$ ფართი;

- ქ. ბათუმში მ. აბაშიძის ქ. №58-ის მიმდებარედ არსებული 211 მ$^2$ ფართი;
- ქ. ბათუმში ჭავჭავაძის, ზუბალაშვილის, 26 მაისის და ლ. ასათიანის ქუჩებს შორის არსებული 465 მ$^2$ ფართი;
- ქ. ბათუმში, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე (ალამის მიმდებარედ) არსებული 464 მ$^2$ ფართი;
- ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №125-ში მდებარე (მიწა - 12972 მ$^2$ შენობები - 894,8 მ$^2$) ფართი;
- ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. №14-ში მდებარე (მიწა - 4409 მ$^2$ შენობები - 995,38 მ$^2$) ფართი;
- ქ. ბათუმში, ზ. გამსახურდიას №40-ში მდებარე 43.55 მ$^2$ არასაცხოვრებელი ფართი;
- ქ. ბათუმში, ქუთაისის/კოსტავას ქ. №8/5-ში მდებარე 245.7 მ$^2$ არასაცხოვრებელი ფართი;
- ქ. ბათუმში, ბაგრატიონისა და გენ. ასლან აბაშიძის ქუჩების კვეთაში მდებარე 4391 მ$^2$ ფართი;
- ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №51-ის მიმდებარედ არსებული 500 მ$^2$ ფართი;
- ქ. ბათუმში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე მდებარედ არსებული 6811 მ$^2$ ფართი;
- ქ. ბათუმში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე მდებარედ არსებული 10008 მ$^2$ ფართი;
- ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. №13ა-ში მდებარე 432 მ$^2$ არასაცხოვრებელი ფართი;
- ქ. ბათუმში, ინასარიძის ქ. №14-ში მდებარე (მიწა - 53 მ$^2$, შენობა - 50,4 მ$^{2)}$ ფართი;
- ქ. ბათუმში, ქუთაისის/ა. მელაშვილის ქ. №1/3-ში მდებარე (მიწა - 663 მ$^2$, შენობა - 1183,72 მ$^2$)ფართი;
- ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. №13-ში არსებული 79.64 მ$^2$ საცხოვრებელი ფართი.

## თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

თვითმმართველი ქალაქის ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა -11 899.0 ათასი ლარი, აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 11 948.8 ათას ლარს შეადგენდა, ვინაიდან წლის განმავლობაში მობილიზებული შემოსულობების მოცულობა 4 434.7 ათასი ლარით აღემატებოდა გაწეულ გადასახდელებს, ქ. ბათუმის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი გაიზარდა 4 434.7 ათასი ლარით (ნაცვლად დაგეგმილი შემცირებისა) და წლის ბოლოსთვის შედგინა 16 383.5 ათასი ლარი.

ბათუმის ბიუჯეტის ანგარიშზე 2010 წლის ბოლოსთვის არსებული სახსრები გათვალისწინებული იქნა 2011 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს.

## თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

### ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):



## თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში

| № | გადასახდელების დასახელება | გადასახდელები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | დაზუსტებული გეგმა | საკასო ხარჯი | შესრუ-ლების % | %-ლი წილი |
| **1** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **8,655.7** | **7,855.6** | **90.8%** | **4.8%** |
| 1.1 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები | 7,142.6 | 6,604.5 | 92.5% | 4.0% |
| 1.2 | სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 1,496.9 | 1,238.0 | 82.7% | 0.7% |
| 1.3 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო | 16.2 | 13.1 | 80.9% | 0.0% |
| **2** | **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** | **110.0** | **37.4** | **34.0%** | **0.02%** |
| **3** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **33,346.5** | **32,419.6** | **97.2%** | **19.6%** |
| 3.1 | საავტომობილო ტრანსპორტი | 33,346.5 | 32,419.6 | 97.2% | 19.6% |
| **4** | **გარემოს დაცვა** | **16,146.4** | **11,230.9** | **69.6%** | **6.8%** |
| 4.1 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 5,592.2 | 5,552.1 | 99.3% | 3.4% |
| 4.2 | ჩამდინარე წყლების მართვა | 10,554.2 | 5,678.8 | 53.8% | 3.4% |
| **5** | **საბინაო-კომუნალური მეურნეობა** | **96,079.4** | **87,110.6** | **90.7%** | **52.7%** |
| 5.1 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 77,954.1 | 71,259.0 | 91.4% | 43.1% |
| 5.2 | წყალმომარაგება | 15,402.9 | 13,163.7 | 85.5% | 8.0% |
| 5.3 | გარე განათება | 2,722.4 | 2,687.9 | 98.7% | 1.6% |
| **6** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **427.5** | **340.8** | **79.7%** | **0.2%** |
| **7** | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **16,377.9** | **15,325.7** | **93.6%** | **9.3%** |
| 7.1 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 4,447.9 | 4,147.1 | 93.2% | 2.5% |
| 7.2 | მომსახურება კულტურის სფეროში | 11,575.0 | 10,864.5 | 93.9% | 6.6% |
| 7.3 | ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 100.0 | 99.2 | 99.2% | 0.1% |
| 7.4 | ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებები | 255.0 | 214.9 | 84.3% | 0.1% |
| **8** | **განათლება** | **7,548.5** | **7,534.1** | **99.8%** | **4.6%** |
| **9** | **სოციალური დაცვა** | **2,198.4** | **1,973.1** | **89.8%** | **1.2%** |
| **10** | **ვალდებულებების შემცირება** | **1,429.3** | **1,375.5** | **96.2%** | **0.8%** |
| | გადასახდელების ჯამი | **182,319.6** | **165,203.3** | **90.6%** | **100.0%** |

## ქ. ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში (გეგმა-ფაქტი)




**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე** 2010 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 8 655,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 7 855,6 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 90,8%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები და წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 4,8 %-ს.

**საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს დაფინანსება** დაგეგმილი იყო 110,0 ათასი ლარით, გაწეულმა საკასო ხარჯმა 37,4 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 34,0 %. ამ სფეროში გაერთიანებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების ხარჯები.

**ეკონომიკური საქმიანობისთვის** დაგეგმილი იყო 33 346,5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 32 419,6 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 97,2%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 19,6%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის პროგრამის ხარჯებს, ასევე ბათუმის საზოგადოებრივი ტრანსპორტის პროექტის თანადაფინანსების ხარჯებს.

**გარემოს დაცვაზე** გათვალისწინებული იყო 16 146,4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 11 230,9 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 69,6%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავების და სანიაღვრე-საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო პროგრამებზე, ასევე ქ. ბათუმში სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსებაზე გაწეული ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 6,8%-ია.

**საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე** გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის ქალაქის კომუნალური მეურნეობის განვითარების, წყალმომარაგების, საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამების, ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების და გარე განათების ხარჯები, შეადგენდა 96 079.4 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 87 110.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 90.7 %-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 52.7 %-ს.

**ჯანმრთელობის სფეროს** დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 427.5 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 340.8 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 79.7%-ია.

**დასვენების, კულტურისა და რელიგიის** სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 16 377.9 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 15 325.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 93.6%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 9.3%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის, ასევე ქალაქის გაფორმების ხარჯები, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი კულტურის, სპორტისა და დასვენების დაწესებულებების

მიმდინარე, ასევე მათი რეაბილიტაციის ხარჯები. კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა პროგრამები, ასევე სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის პროგრამა.

**განათლების სფეროზე** გათვალისწინებული იყო 7 548.5 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 7 534.1 ათას ლარს, ანუ გეგმის 99.8 %-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების, სახელოვნებო დაწესებულებების და სასპორტო სკოლის შენახვის, ასევე საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 4.6%-ს.

**სოციალურ დაცვაზე** დაგეგმილი იყო 2 198.4 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 1 973.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.8 %-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 1.2%-ს.

**ვალდებულებების კლებაზე** გათვალისწინებული იყო 1 429.3 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 1 375.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.2 %-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 0.8%-ს.

## ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:



| № | გადასახდელების დასახელება | ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | დაზუსტებული გეგმა | საკასო ხარჯი | შესრუ-ლების % | %-ლი წილი |
| **I** | **ხარჯები** | **127,546.1** | **117,229.2** | **91.9%** | **71.0%** |
| **1** | **შრომის ანაზღაურება** | **4,522.6** | **4,522.6** | **100.0%** | **2.7%** |
| **2** | **საქონელი და მომსახურება** | **20,534.1** | **19,288.6** | **93.9%** | **11.7%** |
| 2.1 | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 112.1 | 111.6 | 99.6% | 0.1% |
| 2.2 | მივლინებები | 102.5 | 102.2 | 99.7% | 0.1% |
| 2.3 | ოფისის ხარჯები | 645.6 | 608.7 | 94.3% | 0.4% |
| 2.4 | წარმომადგენლობითი ხარჯები | 39.5 | 35.6 | 90.1% | 0.0% |
| 2.5 | სამედიცინო ხარჯები | 9.0 | 9.0 | 100.0% | 0.0% |
| 2.6 | რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | 34.0 | 28.8 | 84.7% | 0.0% |
| 2.7 | ტრანსპორტის და ტექნიკისა ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 309.7 | 307.4 | 99.3% | 0.2% |
| 2.8 | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 19,281.7 | 18,085.3 | 93.8% | 10.9% |
| **3** | **პროცენტი** | **1,496.9** | **1,238.1** | **82.7%** | **0.7%** |
| **4** | **სუბსიდიები** | **9,998.2** | **9,724.4** | **97.3%** | **5.9%** |
| **5** | **სოციალური უზრუნველყოფა** | **2,596.9** | **2,279.9** | **87.8%** | **1.4%** |
| **6** | **სხვა ხარჯები** | **88,397.4** | **80,175.6** | **90.7%** | **48.5%** |
| **7** | მიმდინარე | 15,694.4 | 13,229.4 | 84.3% | 8.0% |
| **8** | კაპიტალური | 72,703.0 | 66,946.2 | 92.1% | 40.5% |
| **II** | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **53,344.2** | **46,598.6** | **87.4%** | **28.2%** |
| **III** | **ვალდებულებების კლება** | **1,429.3** | **1,375.5** | **96.2%** | **0.8%** |
| | **გადასახდელების ჯამი** | **182,319.6** | **165,203.3** | **90.6%** | **100%** |

**ხარჯებმა** შეადგინა 117 229.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 127 546.1 ლარის 91.9%-ია, მისი ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში არის 71.0%,

**შრომის ანაზღაურებაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 4 522.6 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 2.7%,

**საქონელზე და მომსახურებაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 19 288.6 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 11.7%-ია, მათ შორის:

*შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებამ* შეადგინა 111.6 ათასი ლარი.

*მივლინებები* – 102.2 ათასი ლარი

*ოფისის ხარჯები* – 608.7 ათასი ლარი.

*წარმომადგენლობით ხარჯები* – 35.6 ათასი ლარი.

*სამედიცინო ხარჯები* – 9.0 ათასი ლარი.

*რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებით ხარჯებმა* – 28.8 ათასი ლარი

*ტრანსპორტისა და ტექნიკისა ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებზე* გაწეულია 307.4 ათასი ლარი.

*სხვა დანარჩენ საქონელზე და მომსახურებაზე ხარჯებმა* შეადგინა 18 085.3 ათასი ლარი.

**პროცენტების დაფარვის** ხარჯებმა შეადგინა 1 238.1 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 0.7%–ია.

**სუბსიდიის** სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 9 724.4 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 5.9%.

**სოციალურ უზრუნველყოფაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2 279.9 ათასი ლარი, მთლიანი მოცულობის 1.4%.

**სხვა ხარჯებზე** გაიხარჯა 80 175.6 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 48.5%–ია, მათ შორის:

*მიმდინარე* – 13 229.4 ათასი ლარი.

*კაპიტალური* – 66 946.2 ათასი ლარი.

**არაფინანსური აქტივების ზრდამ** შეადგინა 46 598.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 53 344.2 ათასი ლარის 87.4%-ია, მთლიანი ხარჯების – 28.2%.

**ვალდებულებების კლებაზე** მიიმართა 1 375.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 1 429.3 ათასი ლარის 96.2%-ია. ხვედრითი წილი – 0.8%.

## ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ორგანიზაციულ ჭრილში

ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2010 წლის ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:

| კოდი | დასახელება | ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | დაზუსტე-ბული გეგმა | საკასო ხარჯი | გადახრა | შესრუ-ლების % |
| **01 00** | **ქ. ბათუმის საკრებულო** | **1,124.0** | **1,122.7** | **1.3** | **99.9%** |
| **02 00** | **ქ. ბათუმის მერია** | **171,373.1** | **154,797.2** | **16,575.9** | **90.3%** |
| 02 01 | ქ. ბათუმის მერიის სისტემა | 5,821.7 | 5,481.8 | 339.9 | 94.2% |
| 02 02 | ქ. ბათუმის მერიის პროგრამები | 145,892.2 | 132,213.3 | 13,678.9 | 90.6% |
| 02 02 01 | კომუნალური ინფარსტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამები | 12,289.2 | 7,413.6 | 4,875.6 | 60.3% |
| 02 02 02 | ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები | 47,901.8 | 45,976.1 | 1,925.7 | 96.0% |
| 02 02 03 | საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | 7,555.0 | 7,261.2 | 293.8 | 96.1% |
| 02 02 04 | ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა | 61,038.0 | 55,574.9 | 5,463.1 | 91.0% |
| 02 02 05 | განათლების, კულტურის, სპორტისა და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის | 7,223.0 | 7,168.5 | 54.5 | 99.2% |
| 02 02 06 | კულტურის, სპორტის და ახალგაზდობის საქმეთა პროგრამები | 7,293.4 | 6,537.0 | 756.4 | 89.6% |
| 02 02 07 | ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები | 427.5 | 340.8 | 86.7 | 79.7% |
| 02 02 08 | სოციალური დაცვის პროგრამები | 2,164.3 | 1,941.2 | 223.1 | 89.7% |
| 02 03 | სესხების მომსახურება | 2,926.2 | 2,613.5 | 312.7 | 89.3% |
| 02 04 | უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსების ხარჯები | 16,716.8 | 14,475.4 | 2,241.4 | 86.6% |
| 02 05 | წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება) | 16.2 | 13.2 | 3.0 | 81.5% |
| **03 00** | **განათლების, კულტურის, სპორტის, დასვენებისა და სხვა დაწესებულებების დაფინანსება** | **9,515.6** | **9,246.0** | **269.6** | **97.2%** |
| 03 01 | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები | 3,083.2 | 3,083.2 | | 100.0% |
| 03 02 | ბავშვებთან სკოლისგარეშე მუშაობის | 225.0 | 225.0 | | 100.0% |
| 03 03 | სახელოვნებო დაწესებულებები | 2,155.0 | 2,143.6 | 11.4 | 99.5% |
| 03 04 | კულტურისა და დასვენების დაწესებულებები | 2,418.1 | 2,187.0 | 231.1 | 90.4% |
| 03 05 | სასპორტო დაწესებულებები | 1,428.8 | 1,416.4 | 12.4 | 99.1% |
| 03 07 | სხვა დაწესებულებების დაფინანსება | 205.5 | 190.8 | 14.7 | 92.8% |
| **04 00** | **სხვადასხვა უწყებები და ღონისძიებები** | **306.9** | **37.4** | **269.5** | **12.2%** |
| 04 01 | სარეზერვო ფონდი | 196.9 | | 196.9 | |
| 04 02 | ქ. ბათუმის პოლიციის განყოფილებები | 110.0 | 37.4 | 72.6 | 34.0% |
| გადასახდელების ჯამი | | **182,319.6** | **165,203.3** | **17,116.3** | **90.6%** |

**თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს** ხარჯებმა შეადგინა 1 122.7 ათასი ლარი დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 124.0 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 99.9% (დანართი 1). აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 764.5 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 293.9 ათასი ლარი, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 46.2 ათასი ლარი, მივლინებების ხარჯებზე – 32.3 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 82.5 ათასი ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე - 19.5 ათასი ლარი, სამედიცინო ხარჯებზე - 9.0 ათასი ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებზე - 0.9 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯებზე - 72.7 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 30.9 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 7.6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 56.8 ათასი ლარი.

**თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიის** ხარჯებმა შეადგინა 154 797.3 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა იყო 171 373.0 ათასი ლარი. შესრულებამ შეადგინა 90.3% (დანართი 2). აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 3 758.1 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 18 957.5 ათასი ლარი, პროცენტების დაფარვაზე - 1 238.1 ათასი ლარი, სუბსიდიებზე - 796.5 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 2 272.3 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 80 175.6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 46 223.8 ათასი ლარი, ვალდებულებების დაფარვაზე - 1 375.5 ათასი ლარი, მათ შორის:

**თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიის სისტემის** ხარჯებმა შეადგინა 5 481.8 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 5 821.7 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 94.2%. აქედან შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 3 758.1 ათასი ლარი, სხვა საქონელსა 6.5 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 4.3 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 432.2 ათასი ლარი.

**ქ. ბათუმის მერიის პროგრამებზე** მიიმართა 132 213.4 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 145 892.2 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 90.6%, საიდანაც სხვა საქონელზე და მომსახურებაზე მიიმართა 17 676.8 ათასი ლარი, სუბსიდიებზე - 796.5 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებზე

- 2 265.8 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 72 817.3 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 38 657.1 ათასი ლარი, აქედან:

**კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამების** ხარჯებმა შეადგინა 7 413.6 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 12 289.2 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 60.3%, საიდანაც სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები შეადგენს - 681.1 ათას ლარს, სუბსიდიები - 120.0 ათასი ლარი, სხვა ხარჯები - 1 250.0 ათას ლარს, არაფინანსური აქტივების ზრდაზე – 5 362.5 ათასი ლარი, საიდანაც,

**სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის** ხარჯებმა შეადგინა 5 096.5 ათასი ლარი, გეგმა შეადგენდა 9 971.8 ათას ლარს - 51.1% შესრულებით, აქედან საქონელსა და მომსახურებაზე მიიმართა 636.1 ათასი ლარი, რაც სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაციას მოხმარდა. აღნიშნულის ფარგლებში წლის განმავლობაში ყოველთვიურად ხორციელდებოდა 2500 სანიაღვრე ჭის გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა შლამწოვის საშუალებით, 5415 გრძ.მ ღია და დახურული სანიაღვრე არხების გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა, 5000 გრძ.მ სანიაღვრე მილების გაწმენდა და სანიაღვრე ჭების მიმდინარე შეკეთება, ზღვაში გასასვლელი არხების გაწმენდა. სეზონურად ივლისი-აგვისტოს თვეებში განხორციელდა სანიაღვრე არხების სანიტარულ-ჰიგიენური დამუშავება. შეძენილი იქნა 120 სანიაღვრე ჭისათვის სახურავი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიმართა 4 460.4 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს მე-2 ზონაში (გოგებაშვილის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე) სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის I ეტაპს; მე-2 ზონაში (გოგებაშვილის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე) სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციას II ეტაპს; მე-2 ზონაში (ბარათაშვილის ქუჩიდან ლერმონტოვის ქუჩამდე) სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციას; ადლიის დასახლებაში სანიაღვრე არხის მოწყობას; სახოკიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობას, ქ. ბათუმში სანიაღვრე სისტემების მოწყობისა და კაპიტალური რეკონსტრუქციის სამუშაოებს.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | მე-2 ზონაში (გოგებაშვილის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე) სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია (I ეტაპი) | 220.6 |
| 3 | მე-2 ზონაში (გოგებაშვილის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე) სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის II ეტაპი | 1,487.8 |
| 2 | მე-2 ზონაში (ბარათაშვილის ქუჩიდან ლერმონტოვის ქუჩამდე) სანიაღვრე სისტემების | 2,099.9 |
| 4 | სახოკიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა | 282.2 |
| 5 | ადლიის დასახლებაში სანიაღვრე არხის მოწყობა | 219.4 |
| 6 | სანიაღვრე სისტემების მოწყობა და რეკონსტრუქცია | 150.5 |
| **ჯამი** | | **4,460.4** |

სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის პროგრამის გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მე-2 ზონაში (გოგებაშვილის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე) სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის II ეტაპის სამუშაოები კონტრაქტორის მიერ ვერ განხორციელდა წინასწარ დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით, შესაბამისად აღნიშნული სამუშაოების განხორციელება და ანაზღაურება დაგეგმილია 2011 წელს.

**წყლის სისტემების სარეაბილიტაციო პროგრამების** ხარჯებმა შეადგინა 1 981.8 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 981.6 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 99.9%. აქედან სუბსიდიებზე მიიმართა 120.0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდა შპს "ბათუმის წყალი"-ს ელექტროენერგიის საფასურის დავალიანების სუბსიდირება, სხვა ხარჯებზე – 1 250.0 ათასი ლარი, რომელიც შპს „ბათუმის წყალი"-ს საწესდებო კაპიტალის გაზრდაზე მიიმართა (ძველი ბათუმის გამრიცხველიანება და ინდივიდუალური მიერთებები); ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე – 611.6 ათას ლარი, რაც მრავალსართულიანი სახლების მეორადი აწევის ტუმბოების სისტემის რეაბილიტაციაზე, მეჯინისწყლის წყალსადენზე დამატებითი წყალსადენის ხაზის მშენებლობაზე და ახალი წყლის სისტემის მოწყობაზე მიიმართა.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | მრავალსართულიანი სახლების მეორადი აწევის ტუმბოების სისტემის რეაბილიტაცია | 209.3 |
| 2 | მეჯინისწყლის წყალსადენზე დამატებითი წყალსადენის ხაზის მშენებლობა | 321.1 |
| 3 | ახალი წყლის სისტემების მოწყობა | 81.2 |
| | ჯამი | **611.6** |

**კანალიზაციის სისტემების სარეაბილიტაციო ხარჯების** დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 335.6 ათას ლარს, მიმდინარე პერიოდში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 335.6 ათასი ლარი, ანუ შესრულებამ შეადგინა 100%. საქონლესა და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯმა 45.0 ათასი ლარი შეადგინა, რომლის ფარგლებში ფარგლებში განხორციელდა 200 საკანალიზაციო ჭის სახურავის შეძენა; არაფინანსური აქტივების ზრდაზე 290.6 ათასი ლარი მიიმართა, რომელიც სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩის (ბაგრატიონის ქუჩიდან სულხან-საბა ორბელიანის ქუჩამდე) კანალიზაციის სისტემის მოწესრიგებას და ახალი საკანალიზაციო სისტემების მოწყობას მოხმარდა.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩის (ბაგრატიონის ქუჩიდან ს.ს. ორბელიანის ქუჩამდე) კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება | 225.6 |
| 2 | ახალი საკანალიზაციო სისტემების მოწყობა | 65.0 |
| | ჯამი | **290.6** |

**ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამებზე** 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 47 901.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 45 976.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.0%-ია, აქედან საქონელზე და მომსახურებაზე მიიმართა 9 338.7 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე – 8 731.1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე – 27 906.3 ათასი ლარი, აქედან:

**სანიტარული დასუფთავების პროგრამებზე** გათვალისწინებული იყო 5 592.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 5 552.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 99.3%-ია. საქონელზე და მომსახურებაზე მიიმართა 4 552.1 ათასი ლარი

რომელიც მოიცავს ორ ქვეპროგრამას: ქალაქის სანიტარულ დასუფთავებას და ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია-დერატიზაციას.

ქალაქის სანიტარული დასუფთავების ქვეპროგრამის ფარგლებში შპს „სანდასუფთავების" მიერ წლის განმავლობაში ხორციელდებოდა 1181.6 ათასი კვ.მ ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება დღეში ორჯერ, 204.2 ათასი კვ.მ ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება დღეში მესამეჯერ სეზონურად ივნის-სექტემბრის თვეებში, ანახვეტისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, 196.3 ათასი კვ.მ მწვანე საფარის დაგვა-დასუფთავება დღეში ერთხელ, 2000 კონტეინერის გარეცხვა თვეში ერთხელ, 241.6 ათასი კვ.მ ტერიტორიის მორწყვა სეზონურად ივნის-სექტემბრის თვეების განმავლობაში, ადლიის ნაგავსაყრელის მოვლა პატრონობა, 40.0 ათასი კვ.მ სანაპიროს დაგვა-დასუფთავება თვეში ორჯერ ზაფხულის სეზონის გარდა, ხოლო ზაფხულის სეზონის განმავლობაში – ყოველდღე, მაწანწალა ცხოველების გაუვნებლობა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა, თოვლის საფარისაგან ქუჩებისა და ტროტუარების გაწმენდა, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ნაგავშემკრები ბუნკერებიდან და კონტეინერებიდან საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელამდე და უტილიზაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯი შეადგენს 4 415.6 ათას ლარს.

ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია-დერატიზაციის ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 139 ჰექტარი ტერიტორიის დერატიზაცია, ზაფხულის პერიოდში სამი და მეტსართულიანი საცხოვრებელი სახლების 532 სარდაფის დეზინსექცია, ზაფხულის პერიოდში ქალაქის დაჭაობებული ტერიტორიების (ღია არხები და მიმდებარე ტერიტორია, 5 ჰექტარი) დეზინსექცია, ზაფხულს პერიოდში ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული 2000 ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ცხრა და მეტსართულიანი საცხოვრებელი სახლების 220 ნაგავგამტარების დეზინსექცია. ქვეპროგრამის ფარგლებში გახარჯული თანხა შეადგენს 136.5 ათას ლარს.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | ქალაქის სანიტარული დასუფთავება | 4,415.6 |
| 2 | ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია-დერატიზაცია | 136.5 |
| ჯამი | | 4,552.1 |

სხვა ხარჯებზე გაწეული ხარჯი 1 000.0 ათასი ლარს შეადგენს, რომელიც შპს „სანდასუფთავების" საწესდებო კაპიტალის ზრდაზე მიიმართა, სპეც. ტექნიკის შეძენის მიზნით.

**გარე განათების პროგრამებზე** გეგმით გათვალისწინებული იყო 2 722.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 2 687.9 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 98.7%. აქედან საქონელისა და მომსახურების ხარჯები შეადგენს 2 147.1 ათას ლარს, საიდანაც 655.1 ათასი ლარი მიიმართა ქალაქის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, სკვერებისა და შენობა ნაგებობების ფასადების გარე განათების 11210 წერტისა და 235 ელ. გამანაწილებელი კარადის მიმდინარე საექსპლუატაციო სამუშაოებზე, კერძოდ სისტემატიურად ხორციელდებოდა სადენების შეერთების შემოწმება, სანათების დანაჭერების შემოწმება, საჰაერო ხაზების შემოწმება, შემჩნეული დაზიანებების აღმოფხვრა და დაზიანებული კაბელების გამოცვლა, ლითონის საყრდენებისა და კრონშტეინები შეღებვა, საყრდენების გამანაწილებელ ყუთებში კაბელების შეერთებების დათვალიერება და გაწმენდა, სანათებსა და პროჟექტორებში გადამწვარი ნათურების შეცვლა, სატრანსფორმატორო ქვესადგურებსა და ელ. გამანაწილებელ კარადებში დროსელების, ფოტორელეს, კონტაქტორის, მცველების, ჩამრაზი ნაწილების შეცვლა, ქსელებში ძაბვისა დატვირთვის შემოწმება. 1 492.0 ათასი ლარი ქალაქის გარე განათების ელექტროენერგიის საფასურის დაფარვას მოხმარდა.

არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 540.8 ათას ლარს, რომლის ფარგლებში განხორციელდა 300 ცალი სანათების შეძენა; 250 ცალი დეკორატიული განათების პროჟექტორების შეძენა, მონტაჟი; ადლიის, ანგისის, ნიჟარაძისა და გაგარინის ქუჩების გარე განათების კაპიტალური სამუშაოები.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | სანათების შეძენა | 90.9 |
| 2 | დეკორატიული განათების პროჟექტორების შეძენა, მონტაჟი | 250.0 |
| 3 | ქუჩების გარე განათების კაპიტალური სამუშაოები | 199.9 |
| ჯამი | | 540.8 |

**ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის პროგრამების** ხარჯებმა შეადგინა 29 404.9 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 30 331.6 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 96.9%. აქედან სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები შეადგენს – 2 039.4 ათას ლარს, რომელიც მიიმართა ასფალტირებული ქუჩების ორმულ შეკეთებაზე (40,0 ათასი მ$^2$ ტერიტორიის ორმოების შეკეთება ცხელი ა/ბეტონით, 2500 გრძ.მ ბორდიურების შეკეთება, ქალაქის ქუჩებში ბეტონის ფილების რემონტი), არაასფალტირებული ქუჩების ინერტული მასალებით მოშანდაგებასა და სარემონტო სამუშაოებზე (30,0 ათასი მ$^2$ ტერიტორიის ორმოების შეკეთება ქვიშა ხრეშოვანი ნარევით, 25,0 ათასი მ$^2$ ტერიტორიის ორმოების ორმოების შეკეთება ინერტული მასალის გარეშე), შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების მოვლა-შენახვაზე (საგზაო ნიშნების მონტაჟი-დემონტაჟი, 3925 მ$^2$ მონიშვნის უსაფრთხოების ხაზების გავლება, 17 გზაჯვარედინზე შუქნიშნების მოვლა-ექსპლოატაცია, უკ-2-ის ყუთის და მარეგულირებელი აპარატის დემონტაჟი, შეკეთება და მონტაჟი, ელ. ნათების შეცვლა დღისა და ღამის საათებში ქსელის შემოწმება, შუქნიშნისა და საყრდენი ბოძის შეღებვა.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | ასფალტირებული ქუჩების სარემონტო სამუშაოები | 1,447.3 |
| 2 | არაასფალტირებული ქუჩების სარემონტო სამუშაოები | 351.9 |
| 3 | შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების მოვლა-შენახვა | 240.2 |
| ჯამი | | **2,039.4** |

არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 27 365.5 ათასი ლარს კერძოდ განხორციელდა ხიმშიაშვილის ქუჩის გაგრძელებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები აეროპორტის გზატკეცილამდე (დაიგო ასფალტის საფარი 57340 კვ.მ., ტროტუარზე ბეტონი – 6 200 კვ.მ., კორდი – 3133 კვ.მ.); შ. ხიმშიაშვილისა და ბაგრატიონის ქუჩების დამაკავშირებელი ქუჩის მშენებლობა (დაიგო ასფალტის საფარი – 36064 კვ.მ., ცემენტ-კვარცის გზაგამყოფი – 19102 კვ.მ., კორდი – 11 730 კვ.მ., მოეწყო 146 ცალი დეკორატიული განათების ბოძი, განხორციელდა დეკორატიული შადრევანის მშენებლობა); სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის კაპიტალური რემონტი (ს. ხიმშიაშვილის ქუჩიდან მელიქიშვილის ქუჩამდე 2952 კვ.მ.); თამარის გზატკეცილის ტროტუარების კეთილმოწყობის სამუშაოები (5 440 კვ.მ., 80 ცალი დეკორატიული განათების ბოძი); შუქნიშნების შეძენა-მონტაჟი (7 გზაჯვარედინისათვის 44 ცალი შუქნიშანი); ბაგრატიონის ქუჩის გაგრძელება (აღმაშენებლის ქუჩიდან ანგისის გზატკეცილამდე); ინასარიძის ქუჩის ბოლო მონაკვეთის კაპიტალური რემონტი (ჟილინსკის არხსა და №14 საჯარო სკოლას შორის, 2 540 კვ.მ.); დეკორატიული ბოძკინტების დამზადებისა და განთავსების სამუშაოები (177 ცალი). განხორციელდა ადლიის საბაჟო ტერმინალთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობა და სატვირთო ავტომობილების ავტოსადგომის მშენებლობა.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | ხიმშიაშვილის ქუჩის გაგრძელება და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა | 8,909.8 |
| 3 | ბაგრატიონისა და შ. ხიმშიაშვილის ქუჩების დამაკავშირებელი ახალი ქუჩის მშენებლობა | 13,968.8 |
| 4 | სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის რეკონსტრუქცია (ს. ხიმშიაშვილის ქუჩიდან მელიქიშვილის ქუჩამდე) | 265.3 |
| 5 | თამარის გზატკეცილის ტროტუარის კეთილმოწყობა | 2,254.6 |
| 6 | ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების კაპიტალური რემონტი | 166.6 |
| 7 | შუქნიშნების შეძენა | 498.0 |
| 8 | შუქნიშნების მონტაჟი | 77.2 |
| 9 | ბაგრატიონის ქუჩის გაგრძელება (აღმაშენებლის ქუჩიდან ანგისის გზატკეცილამდე) | 822.0 |
| 10 | ადლიის საბაჟო ტერმინალთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობა და სატვირთო ავტომობილების ავტოსადგომის მშენებლობა | 403.2 |
| | **ჯამი** | **27,365.5** |

**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის** დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 358.2 ათას ლარს, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 117.3 ათასი ლარი, ე. ი. გეგმის 32.8%. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საპროექტო სამუშაოების ნაწილი 2010 წლის განმავლობაში შესრულებულია იქნა ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში.

**ქალაქის დაგეგმარების პროგრამებზე** დაგეგმილი იყო 498.4 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 482.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 96.9%. კერძოდ განხორციელდა ქალაქის ქონების (მ.შ. მიწის) პასპორტიზაცია, ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ქონების რეგისტრაცია, შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, აგრეთვე თანხები მიიმართა ქალაქის ქონების აუდიტორული შეფასებისათვის.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | ქალაქის ქონების (მ.შ. მიწის) პასპორტიზაცია | **90.5** |
| 2 | ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ქონების რეგისტრაცია | **31.3** |
| 3 | შენობა-ნაგებობების დემონტაჟი | **337.5** |
| 4 | ქალაქის ქონების აუდიტორული შეფასება | **23.6** |
| | ჯამი | **482.9** |

**საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის პროგრამების** ხარჯები დაგეგმილი იყო 8 399.0 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურად გახარჯული თანხა შეადგენს 7 731.1 ათას ლარს, ანუ გეგმის 92.0%-ს. რომელიც მიიმართა ქ. ბათუმის იერსახის მოწესრიგების მიზნით ქალაქის ტერიტორიაზე არსებული უსახური ნაგებობებისა და მინაშენების, ავტოფარეხების დემონტაჟის, ასევე შ. ხიმშიაშვილის და ბაგრატიონის ქუჩების გაგრძელების მშენებლობასთან დაკავშირებით საექსპოპრიაციო ქონებაზე საკომპენსაციო თანხების გასაცემად. სულ 2010 წლის განმავლობაში საკომპენსაციო თანხები გაცემულ იქნა 912 მოქალაქეზე;

**საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში** ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 7 261.2 ათასი ლარით, გეგმა 7 555.0 ათას ლარს შეადგენდა, ანუ შესრულება 96.1%-ია.

პროგრამის ფარგლებში მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სამოქალაქო მონაწილეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წილობრივი თანადაფინანსებით კაპიტალურად შეკეთებულ იქნა 58 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი და 34 საცხოვრებელი სახლის სარდაფში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემები, 15 მაღლივ საცხოვრებელი სახლის ლიფტს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. განხორციელდა ავარიული სახლის - შავშეთის ქ. 19/25 შეკეთება-რეკონსტრუქცია. აღნიშნული სამუშაოების პარალელურად ამხანაგობებთან ერთად განხორციელდა მრავალსართულიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა (71 ეზო), კერძოდ განხორციელდა ასფალტირების სამუშაოები, მრავალსართულიანი სახლების ეზოებში შეკეთდა და მოეწყო

ფილები და ბორდიურები. დაიგო კორდი და მოეწყო განათება, 40 ეზოში კეთილმოეწყო კომუნალური სისტემები, შეძენილი და ეზოებში დამონტაჟებული იქნა 5 კომპლექტი ტრენაჟორი, 56 ცალი ფანჩატური, 271 ცალი საბაღე სკამი.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | სახურავების შეკეთება | 2,407.8 |
| 2 | სარდაფებში წყლისა და საკანალიზაციო მილების შეცვლა | 247.0 |
| 3 | ლიფტების შეკეთება | 86.3 |
| 4 | ავარიული სახლების შეკეთება-რეკონსტრუქცია | 41.7 |
| 5 | მრავალსართულიანი სახლების ეზოებისა და სკვერების კეთილმოწყობა (ფილების დაგება, ბორდიურების შეკეთება, განათება) | 4,095.7 |
| 6 | მრავალსართულიანი სახლების ეზოების სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა | 382.7 |
| | **ჯამი** | **7,261.2** |

**ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამისათვის** გათვალისწინებული იყო 61 038.0 ათასი ლარი, დაიხარჯა 55 574.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 91.0%. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო და განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1. საძიებო, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოები, 2. ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები: განხორციელდა ძველი ბათუმში მ. აბაშიძის, ზ. გამსახურდიას, მაზნიაშვილის, ქუთაისის, ელიავას, კოსტავას, ჟორდანიას, ფარნავაზ მეფის, ვახტანგ გორგასალის, ხულოს, მელაშვილის ქუჩების კეთილმოწყობა, მოეწყო ბაზალტის ბორდიური - 10100 გრძ.მ., გრანიტის ფილები – 20850 კვ.მ., გრანიტის ქვაფენილი - 21500 კვ.მ., გრანიტის სანიაღვრე ღარი - 5335 გრძ.მ., გრანიტის ჩამკეტი ფილები - 450 კვ.მ. მოეწყო განათება, განხორციელდა კ. გამსახურდიას ქუჩის კეთილმოწყობა, კერძოდ მოეწყო ბაზალტის ბორდიური - 1002

გრძ.მ., გრანიტის ფილები (ღირებულებით) - 4440 კვ.მ., გრანიტის ბორდიური - 83 გრძ.მ., გრანიტის ქვაფენილი (ღირებულების გარეშე) - 250 კვ.მ., განხორციელდა ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში პიაცას (მოდენის) მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა, ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის სკვერის მოწყობა. 3. შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები: (ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში პიაცას მოედანზე კოშკის და კოშკის ირგვლივ შენობების მშენებლობა, ლითონის არკის „შავი ზღვის კარიბჭის" შეძენა-მონტაჟი, ქანდაკება "ქალი და მამაკაცის" შეძენა-მონტაჟი, ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის ფასადის რესტავრაცია, მ. აბაშიძის გამზ. №25-ში ეროვნული ბანკის შენობის რეკონსტრუქცია, გოგებაშვილის ქ. №32-ში შენობის რეკონსტრუქცია, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის რეკონსტრუქცია, შენობების ფასადების განათების სამუშაოები, საფუძველი ჩაეყარა ახალი ალფაბეტური კოშკის მშენებლობას, პირველ ეტაპზე განხორციელდა კოშკის მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოები.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | სამიებო, საპროექტო და საკონტრუქტორო სამუშაოები | 4,300.2 |
| 2 | ქუჩების, პარკების და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები | 16,548.5 |
| 3 | შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქტორო სამუშაოების | 34,726.2 |
| | **ჯამი** | **55,574.9** |

**განათლების, კულტურის, სპორტისა და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამებით** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7 168.5 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა იყო 7 223.0 ათასი ლარი, ანუ შესრულდა 99.2%-ით, საიდანაც საქონელსა და მომსახურებაზე მიიმართა 1 780.3 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე – 5 388.2 ათასი ლარი, აქედან:

**ქალაქის პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობაზე** მიიმართა 979.9 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმის (991.2 ათასი ლარი) 98.9%-ია. მათ შორის

საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 504.5 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა პარკების, სკვერების და მოედნების მოვლა-შენახვაზე. კერძოდ ხორციელდებოდა გაზონების გაცელვა, დიდი ხეების გადაბელვა, დეკორატიული ფიგურული მცენარეების გასხვლა ფორმირება დეკორატიულად, მაღალტანიანი მცენარეების გასხვლა გაფორმება, გაზონების დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების ხის ძირების გაფხვიერება თვეში ორჯერ, ხორციელდებოდა ხის ძირების შეთეთრება, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების და გაზონების მორწყვა სეზონურად და სხვა აგროტექნიკური სამუშაოები, შეძენილი და დარგული იქნა 300 000 ერთწლიანი სეზონური ყვავილი და 16 464 ყვავილი ვერტიკალური გამწვანებისათვის, ყოველთვიურად ხორციელდებოდა შადრევნების მოვლა-შენახვა.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | პარკების, სკვერების და მოედნების მოვლა-შენახვა | 470.9 |
| 2 | შადრევნების მოვლა-შენახვა | 33.6 |
| ჯამი | | **504.5** |

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 475.4 ათასი ლარი. რომლის ფარგლებში განხორციელდა ურბანული ფურნიტურის შეძენა და ქალაქის სკვერების კეთილმოწყობა, კერძოდ სერგი მესხის ქუჩაზე, ჯავახიშვილის ქუჩაზე და თამარის დასახლებაში №23-ში სახლის გვერდით 2 სკვერი.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | ურბანული ფურნიტურის შეძენა | 110.0 |
| 2 | ქალაქის სკვერების კეთილმოწყობა | 365.4 |
| ჯამი | | **475.4** |

**ქალაქის გაფორმებაზე** განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1 156.4 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა – 1 157.9 ათას ლარს, ანუ

შესრულება 99.9%-ია. საიდანაც საქონელსა და მომსახურებაზე მიიმართა 998.7 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში დამზადებული და ქალაქის სხვადასხვა უბნებში დამონტაჟებული იქნა ფირნიშები და მემორიალური დაფები, ქალაქის ტერიტორიაზე ჩატარდა სამხატვრო-გაფორმებითი სამუშაოები, საშობაო-საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით გაფორმებითი სამუშაოები იქნა ჩატარებული ქალაქის მთელ ტერიტორიაზე, შეძენილი იქნა ფეიერვერკები და საახალწლო აქსესუარები.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება | 335.1 |
| 2 | წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები | 264.5 |
| 3 | ფეიერვერკების შეძენა | 50.0 |
| 4 | საახალწლო აქსესუარების შეძენა | 349.1 |
| ჯამი | | **998.7** |

არაფინანსური აქტივების ზრდაზე 157.7 ათასი ლარი დაიხარჯა, რომელიც მიიმართა ქანდაკებების დადგმაზე.

**სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 829.3 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 829.8 ათასი ლარი, რაც შესრულდა 99.9%-ით. აქედან, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 196.0 ათასი ლარი, რომელიც სპორტული მოედნების მოვლა-შენახვაზე მიიმართა, კერძოდ განხორციელდა ხის ძელებისა და მავთულბადის შეცვლა, ფეხბურთისა და კალათბურეთის ბადეების შეცვლა, კალათბურთის ფარის რგოლების შეცვლა, მავთულბადისა და ძელის შეღებვა.

არაფინანსური აქტივების ზრდამ 633.3 ათასი ლარი შეადგინა. რომელიც ფარგლებშიც შეძენილი და ქალქის სხვადასხვა უბანში განთავსებული იქნა 23 საბავშვო ატრაქციონი, სასპორტო სკოლისათვის შეძენილი იქნა ინვენტარი, ასევე ყინულის მოედნის შეძენა-მონტაჟი.

**საბავშვო ბაღების რეაბილიტაციაზე** გეგმა შეადგენდა 1 213.2 ათას ლარს, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1 211.3 ათასი ლარი, შესრულდა 99.8%-ით. რომლის ფარგლებში განხორციელდა №11 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი; №22 საბავშვო ბაღზე სართულის დაშენებისა და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, №7 ბაღზე სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის გადახურვის სამუშაოები.

**განათლების, სახელოვნებო და კულტურის ობიექტების რეაბილიტაციაზე** გეგმით გათვალისწინებული იყო 2 786.1 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2 746.8 ათასი ლარი, ე.ი. შესრულდა 98.6%-ით. სადაც საქონელზე და მომსახურებაზე გაწეული ხარჯი შეადგენს 81.0 ათას ლარს, რომელიც 300 ცალი სცენის სკამების შეძენას მოხმარდა.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 2 665.8 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სცენის, გახმოვანებისა და განათების სისტემის შეძენაზე და პროფესიული სასწავლებლის სახურავის შეცვლაზე.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| **1** | სცენის, გახმოვანებისა და განათების სისტემის შეძენა | 2 619,6 |
| **2** | პროფესიული სასწავლებლის სახურავის შეცვლა | 46,2 |
| | ჯამი | **2 665,8** |

**საგამოფენო დარბაზის მშენებლობისათვის** გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 244.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 244.8 ათასი ლარის – 100%-ია.

**კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამების** ფარგლებში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 6 537.0 ათასი ლარი, რაც შესრულდა 89.6%-ით (გეგმა – 7 293.3 ათასი ლარი).

**კულტურის პროგრამების** დაფინანსებაზე მიიმართა 5 552.8 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 6 206.0 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 89.5%. ორგანიზება გაეწია სხვადასხვა ფესტივალებისა და კონკურსების მოწყობასა და ჩატარებას (სიმფონიური მუსიკის ფესტივალი, ბათუმის V საავტორო კინო-ფესტივალი, სილამაზის კონკურსი, ბათუმზე შექმნილი სიმღერების კონკურსი,

დიჯეი-ფესტივალი), წლის განმავლობაში ხორციერლდებოდა ქვეყნისთვის და ქალაქისთვის ღირსშესანიშნვი თარიღების საზეიმო აღნიშვნა (საახალწლო-საშობაო ღონისძიებები, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, დედის დღე), თანხები მიიმართა ნიჭიერი ბათუმელების წახალისებაზე, დამეგობრებული ქალაქების ოფიციალური დელეგაციების მიღებასა და გაცვლაზე, საიუბილეო საღამოებისა და სხვადასხვა სადღესასწაულო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარებაზე. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში განხორციელდა ქართველი და უცხოელი მუსიკალური შემსრულებლებისა და ვარსკვლავების მონაწილეობით კონცერტების ორგანიზება (კონცერტი ჯგუფის „მგზავრების" მონაწილეობით, მაია ქეის და ცნობილი ვოკალისტების შოუ, კონცერტი ბრიტანელი კომპოზიტორისა და შემსრულებლის კრის დე ბურგის მონაწილეობით, 2010 წლის ოქტომბერში უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობით კონცერტები, 25 ნოემბერს ქ. ბათუმში პლასიდო დომინგოსა და ოპერის ქართველი შემსრულებლების მონაწილეობით კონცერტი)

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | საშობაო ღონისძიებები (2010 წლის იანვარი) | 84.4 |
| 2 | დედის დღის საზეიმო აღნიშვნა | 18.5 |
| 3 | აჭარის რევოლუციის მე-5 წლისთავი-6 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე-26 მაისი | 28.7 |
| 4 | ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე | 19.9 |
| 5 | ბათუმზე შექმნილი სიმღერების კონკურსი | 200.5 |
| 6 | სიმფონიური მუსიკის ფესტივალი | 145.0 |
| 7 | ბათუმის V საავტორო კინო-ფესტივალი | 122.6 |
| 8 | სილამაზის კონკურსი | 50.0 |
| 9 | ბათუმობა | 19.5 |
| 10 | ნიჭიერი ბათუმელების წახალისება | 15.7 |
| 11 | სასაჩუქრე წიგნი-ალბომი "ბათუმი" | 32.5 |
| 12 | საახალწლო ღონისძიებები | 283.4 |
| 13 | დამეგობრებულ ქალაქებთან ურთიერთობა | 15.5 |
| 14 | გამოფენები, ინსტალაციები, თანამედროვე ქალაქი – ახალგაზრდა მხატვართა ხელშეწყობა | 15.0 |
| 15 | დიჯეი-ფესტივალი | 19.0 |
| 16 | სხვადასხვა ღონისძიებანი (2010 წლის დეკემბერი) | 90.6 |
| 17 | ჯგუფის „მგზავრების“ მონაწილეობით გამართული კონცერტის პირდაპირი ეთერით ტრანსლირება | 38.4 |
| 18 | მაია ქეის და ცნობილი ვოკალისტების შოუს ორგანიზება | 348.8 |
| 19 | ბრიტანელი კომპოზიტორისა და შემსრულებლის კრის დე ბურგის მონაწილეობით გამართული კონცერტის პირდაპირი ეთერით ტრანსლირების ტექნიკური უზრუნველყოფა | 42.1 |
| 20 | 2010 წლის ოქტომბერში უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობით კონცერტების ორგანიზება | 160.0 |
| 21 | ქანდაკება ქალი და მამაკაცის საზეიმო გახსნის აღსანიშნავად ქ. ბათუმში ბექა გოჩიაშვილის მონაწილეობით კონცერტის ორგანიზებისა და პირდაპირი ეთერით ტრანსლირების ტექნიკური უზრუნველყოფა | 72.1 |
| 22 | პლასიდო დომინგოსა და ოპერის ქართველი შემსრულებლების მონაწილეობით კონცერტის ორგანიზება | 1,448.0 |
| 23 | სიმღერა ბათუმზე გამარჯვებული სიმღერის კლიპის დამზადება | 29.6 |
| 24 | საშობაო-საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარება (პრეზიდენტის საზერვო ფონიდან მიღებული სახსრები) | 2,253.0 |
| | **ჯამი** | **5,552.8** |

**სპორტის პროგრამების** წლიური გეგმა 150.0 ათას ლარს შეადგენდა, ფაქტიურად გახარჯული იქნა 97.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 64.8%-ია. წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | სპორტული თამაშები ადმინისტრაციაში შემავალ უბნებს შორის | 40.0 |
| 2 | საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მ. ვახტანგაძის თასზე | 15.0 |
| 3 | საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვ. ალთაბაევის თასზე | 15.0 |
| 4 | სპორტული თამაშები საჯარო სკოლებს შორის | 12.5 |
| 5 | სპორტის სხვადასხვა ღონისძიებები | 14.7 |
| | **ჯამი** | **97.2** |

პროგრამით დაგეგმილი ღონისძიებებიდან არ დაფინანსდა აჭარის სპორტის საუკუნოვანი ისტორიის წიგნის გამოცემა, რომელზეც დაგეგმილი იყო 50,0 ათასი ლარი, რამაც განაპირობა პროგრამის შესრულების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი.

**ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამები** დაფინანსდა 214.9 ათასი ლარით, გეგმა შეადგენდა 255.0 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 84.3%. აპრილ-მაისის თვეებში განხორციელდა სტუდენტური დასაქმების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დასაქმდა ბათუმში მოქმედი სხვადასხვა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სოციალურად დაუცველი და წარჩინებული 400 სტუდენტი, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ქალაქის კეთილმოწყობაში, დასუფთავებაში, ბაღებისა და სკვერების გამწვანებაში, ეზოებისა და ქუჩების დასუფთავებაში, ანაზღაურებამ თითოეულ მათგანზე შეადგინა 250 ლარი, ჩატარდა მხიარულთა და საზრიანთა კლუბების ფესტივალი, ორგანიზება გაეწია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მხიარულთა და საზრიანთა კლუბების ჩამოყალიბებასა და ჩემპიონატების ჩატარებას. გაიმართა საპლაჟო ფეხბურთის I საერთაშორისო ფესტივალი, თანხები მიიმართა ასევე წლის განმავლობაში სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზებაზე და ჩატარებაზე.

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | პატრიოტი | 0.8 |
| 2 | სტუდენტური დასაქმება | 115.0 |
| 3 | როკ-ფესტივალი | 16.0 |
| 4 | წმ. თევდორე აჭარელის სახელობის საკვირაო სკოლა | 10.0 |
| 5 | ბათუმის საპლაჟო ფეხბურთის ფესტივალი | 19.0 |
| 6 | მხიარულთა და საზრიანთა კლუბების ფესტივალი | 18.0 |
| 7 | ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვების ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა | 5.0 |
| 8 | ხელოვნებისა და ფოლკლორის სტუდენტური ფესტივალი "ერის ხმა 2010" | 11.0 |
| 9 | სტუდენტ-ახალგაზრდობის კვირეული | 8.3 |
| 10 | ახალგაზრდობის საქმეთა სხვადასხვა ღონისძიებები | 11.8 |
| | ჯამი | **214.9** |

**სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის პროგრამების** დაფინანსებაზე მიიმართა 672.2 ათასი ლარი, რაც შესრულდა 98.5%-ით, გეგმა 682.3 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სპორტის შემდეგი სახეობების დაფინანსება:

| № | დასახელება | ხარჯი |
|---|---|---|
| 1 | საფეხბურთო კლუბი "დინამო ბათუმი" | 440.3 |
| 2 | ბათუმის საკალათბურთო კლუბი | 169.6 |
| 3 | ბათუმის ხელბურთის კლუბი | 40.9 |
| 4 | ბათუმის ფრენბურთის კლუბი (ვაჟები) | 13.0 |
| 5 | ბათუმის ფრენბურთის კლუბი (გოგონები) | 8.4 |
| | ჯამი | **672.2** |

**ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების** ხარჯებმა შეადგინა 340.8 ათასი ლარი. გეგმა შეადგენდა 427.5 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 79.7%. კერძოდ განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები:

**ქ. ბათუმის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ავადობის აქტიური გამოვლენისა და მკურნალობის პროგრამის** გეგმა შეადგენდა 73.1 ათასი ლარს,

დაფინანსდა 69.2 ათასი ლარით, რაც შესრულდა 94.7%-ით. კერძოდ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სქრინინგი ჩაუტარდა 9100 ბავშვს, ხერხემლის სვეტის რენტგენოგრაფიული გამოკვლევები ჩაუტარდა 385 ბავშვს, ფარისებური ჯირკვლის ექოსკოპიური გამოკვლევა 265 ბავშვს, რეაბილიტაცია 290 ბავშვს, სამკურნალო ცურვა (მასაჟის და სამკურნალო ფიზკულტურის კურსი) 290 ბავშვს.

**ქ. ბათუმში ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის** ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 90.1 ათასი ლარი, რაც შესრულდა 74.7%-ით (გეგმა – 120.6 ათასი ლარი). პროგრამა მოიცავს სამ ქვეპროგრამას:

- ბათუმში მცხოვრები ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტების მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა - ქ. ბათუმში მცხოვრები ასთმით დაავადებული 70 ბავშვისა და ქ. ბათუმში მცხოვრები ბრონქული ასთმით დაავადებული 0-დან 100 000 ქულის მქონე, შ.შ.მ პირებისა და ასაკით პენსიონერი 130 ბენეფიციარისთვის მედიკამენტების (სერეტიდ-დისკუსი სამი კოლოფი, სალბუტამოლი) შეძენა და დროული მიწოდება შეტევების კუპირებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას მიზნით. მედიკამენტი გაიცა 177 ბენეფიციარზე. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 26.6 ათასი ლარი.

- ქ. ბათუმში ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა - რომლის ფარგლებში 68 ეპილეფსიით დაავადებული 19 წლამდე მოზარდისა და ეპილეფსიით დაავადებული 0-დან 100 000 ქულის მქონე, შ.შ.მ პირებისა და ასაკით პენსიონერი 70 ეპილეფსიით დაავადებული მოქალაქისათვის განხორციელდა მედიკამენტების შეძენა, კრუნჩხვითი სინდრომის მოხსნა, მათი ჯანმრთელობისა და სოციალური პირობების გაუმჯობესება. ეს მედიკამენტებია: დეპაკინი, ეპიქსი, ტოპამაქსი, კლონაზეპამი, კარბამეზაპინი. პროგრამით ისარგებლა 119-მა ბენეფიციარმა. გახარჯულმა თანხამ შეადგინა 35.2 ათასი ლარი.

- მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ 0-დან 100 000 ქულის მქონე, შ.შ.მ. პირებისა და ასაკით პენსიონერთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 0-დან 100 000 ქულის მქონე, შ.შ.მ. პირებისა და ასაკით პენსიონერ მეორე ტიპის დიაბეტით

დაავადებული 480 პირის ჯანმრთელობის გაუმჯობესება და გართულებების პრევენცია მედიკამენტების (მეტფორმინი, გლიკლაზიდი) შეძენითა და დროული მიწოდებით ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება 2010 წელს ამ პროგრამით ისარგებლა 480 ბენეფიციარმა გახარჯულმა თანხამ შეადგინა 28.3 ათასი ლარი.

**ქ. ბათუმის მოსახლეობაში ონკოლოგიური დაავადებებისა და ადრეული გამოვლენისა და პრევენციის პროგრამაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 32.5 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 39.8 ათასი ლარი, შესრულება 81.6%-ია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. ბათუმში მცხოვრები 350 -- 35-60 წლამდე ქალის (საშვილოსნოს ყელის ეროზიებით და სხვადასხვა პათოლოგიებით) ონკო-გინეკოლოგის კონსულტაცია, საშვილოსნოს ყელის დათვალიერება, ნაცხის აღება და მისი გამოკვლევა PAP-ტესტით. საშვილოსნოს ექოსკოპია.

ქ. ბათუმში მცხოვრები 200 -- ქალი და მამაკაცი 50 წლის ზევით (პროსტატის, საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით) გამოკვლევა ონკომარკერებით. ქ. ბათუმში მცხოვრები 60 მოქალაქის (კანისა და სხვა ვიზუალური ორგანოების: ცხვირის ღრუს, ხახის, ხორხის ტუჩის პათოლოგიებით) კიბოსწინარე დაავადებების (პაპილომის, ადენომის, კერატომის, აკროქორდონის, უპიგმენტო და პიგმენტური ნეუსების, შეუხორცებელი წყლულების) სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ოპერაციული ბიოფსიები. 2010 წლის იანვარ-თებერვლის პროგრამის ფარგლებში მამოგრაფიული გამოკვლევა ჩაუტარდა 200 პაციენტს, პაპ ტესტი 50 პაციენტს, ბიოფსია 10 პაციენტს და ონკომარკერით კვლევა 20 პაციენტს. 2010 წლის მარტიდან დეკემბრის ჩათვლით დიაგნოსტიკური გამოკვლევები და სამკურნალო ბიოფსიები ჩაუტარდა 830 პაციენტს.

**მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის სკრინინგისა და ამბულატორიული მკურნალობის პროგრამის** ხარჯებმა შეადგინა 18.4 ათასი ლარი, გეგმა 19.5 ათას ლარს შეადგენდა, ანუ შესრულებამ შეადგინა 94.5%. პროგრამის ფარგლებში 2010 წლის იანვარ-თებერვალში სქრინინგი ჩაუტარდა 160 ბავშვს, მკურნალობა 14 ბავშვს და

რენტგენოგრაფია – 16 ბავშვს. 2010 წლის მარტ-დეკემბერში სქრინინგი ჩაუტარდა 850 ბავშვს, რეაბილიტაციის კურსი (სამკურნალო მასაჟი, ფიზიოთერაპია) 80 ბავშვს და რენტგენოგრაფია ჩატარებული იქნა 80 ბავშვზე.

**ფსიქიური პრობლემების მქონე ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციით** გათვალისწინებული გეგმა შეადგენდა 63.5 ათას ლარს, ხარჯი შედგენს 40.0 ათას ლარს რაც 63.0%-ია. პროგრამა მიზნად ისახავდა 40 გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციას და მათი ინტეგრაციას სკოლებში და საზოგადოებაში. პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა საშუალოდ 35 ბავშვს.

**ქ. ბათუმში მოხუცებულთა კატარაქტის ოპერაციული მკურნალობის უზრუნველყოფის პროგრამით** გათვალისწინებული იყო 36.0 ათასი ლარი, ხარჯმა შეადგინა 34.4 ათასი ლარი ანუ შესრულდა 95.7%-ით. პროგრამის მიზანია ქ. ბათუმში მცხოვრები ასაკით პენსიონერისათვის კატარაქტის ოპერაციული მკურნალობით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში ოპერაციული მკურნალობა ჩაუტარდა 126 პაციენტს.

**ბავშვთა ტონზილების ოპერაციული მკურნალობის პროგრამით** გათვალისწინებული იყო 30.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 16.8 ათასი ლარით, ე.ი. შესრულდა 56.1%-ით. ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქრონიკულ დაავადებათა (რევმატიზმი, შეძენილი გულის მანკები, თირკმლის დაავადებები) პრევენციის მიზნით ოპერაციული მკურნალობა და დიაგნოსტიკური გამოკვლევები ჩაუტარდა 91 პაციენტს.

**კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევისათვის** გათვალისწინებული იყო 45.0 ათასი ლარი, რაც დაფინანსდა 39.3 ათასი ლარით, ანუ ასიგნების 87.3%. პროგრამა მიზნად ისახავდა ქ. ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა (საბავშვო ბაღები, სახელოვნებო, სპორტული სკოლები, სასწავლებლები, ბიბლიოთეკები) თანამშრომლებისათვის (1500 ადამიანი) რომლებიც ემსახურებიან მომავალი ჯანსაღი თაობის აღზრდას, უფასო სამედიცინო დაზღვევას ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ფაქტიურად უფასო

სამედიცინო დაზღვევით სარგებლობს 1461 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა თანამშრომელი.

**სოციალური დაცვის პროგრამებზე** 2010 წლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯებმა 1 941.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის – 2 164.3 ათასი ლარის 89.7%-ია. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

**სოციალურად დაუცველი ფენისათვის უფასო კვების პროგრამა –** პროგრამის ფარგლებში გახარჯული იქნა 538.2 ათასი ლარი. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 542.2 ათასი ლარი, ანუ შესრულებამ შეადგინა 99.3%. პროგრამით ქ. ბათუმში უმწეოთათვის განკუთვნილი სამი სასადილო ემსახურება აღნიშნული კონტინგენტის 1345 ბენეფიციარის საკვებით უზრუნველყოფას. ამ კატეგორიის მოქალაქეებს მონაწილეობა აქვთ მიღებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ და მიენიჭათ 70 000-მდე სარეიტინგო ქულა.

**შ.შ.მ. პირების კომუნალური მომსახურეობით უზრუნველყოფის პროგრამაზე** გათვალისწინებული იყო 47.4 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯული იქნა 25.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 52.9%.

პროგრამით განხორციელდა 400 I ჯგუფის უსინათლო შ.შ.მ. პირის კომუნალური მომსახურეობით და სააბონენტო გადასახადით უზრუნველყოფა.

ტელეფონის სააბონენტო გადასახადზე შეღავათით ისარგებლა 150 შ.შ.მ. პირმა.

გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხა ჩაერიცხა მრავალსართულიანი საცხოვრებელ სახლში მცხოვრებ 16 და კერძო სექტორში მცხოვრებ 4 - I ჯგუფის უსინათლო შ.შ.მ. პირს. პროგრამის დაბალი პროცენტული შესრულება გამოწვეულია ქ. ბათუმის ტერიტორიის უბნობრივი გაზიფიკაციის პროცესით.

**უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის პროგრამაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 9.0 ათასი ლარის 36.7%-ია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 11 უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვა.

**ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახების წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების და მარჩენალდაკარგულთა შეღავათებით უზრუნველყოფის პროგრამაზე** გახარჯული იქნა 207.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 259.9 ათასი ლარის 79.8%-ია. პროგრამა მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას:

1. **ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების უფასო მგზავრობით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის** ფარგლებში განხორციელდა 1500 ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახების წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების და მარჩენალდაკარგულთა წლის განმავლობაში ბათუმის ფარგლებში მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ხარჯი შეადგენს 45.0 ათას ლარს.

2. **ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემის ქვეპროგრამის** ფარგლებში განხორციელდა:

9 მაისს გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გადაეცა II მსოფლიო 138 ომის მონაწილეს 100 ლარის ოდენობით და ომში დაღუპულის 25 ოჯახის წევრს 50 ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში 36 გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გაცემულია თითოეულზე 300 ლარი. 27 სექტემბერთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება აიღო 42 ოჯახმა –თითოეულზე 200 ლარის ოდენობით. განხორციელდა ვეტერანთა გაერთიანებების სუბსიდირება. ქვეპროგრამის ხარჯი შეადგენს 44.2 ათას ლარს.

3. **ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების კომუნალური მომსახურეობით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა** ფარგლებში განხორციელდა: 1700 ვეტერანის სანდასუფთავებისა და წყალმომარაგების გადასახადით უზრუნველყოფა, 860 ვეტერანის 99.8 ათას ლარს.

